დეკემბრის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

ქართული კუთხე საქველმოქმედო ბაზრობაზე ანკარაში

1 დეკემბერს, ქ. ანკარაში, თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით გაიმართა „საქველმოქმედო ბაზრობა“. ბაზრობაში მონაწილეობა მიიღო თურქეთში აკრედიტებულმა 34 ქვეყნის საელჩომ, მათ შორის საქართველოს საელჩომ.

საქველმოქმედო ბაზრობაზე, ქართული კუთხე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სახის ქართული პროდუქციით, ტრადიციული ქართული კერძებით, ქართული ჩაით, სასმელებითა და მინერალური წყლებით. ასევე, ბაზრობაზე მისულ სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაეთვალიერებინათ ანკარაში მოღვაწე ქართველი მხატვრის, დავით უღრელიძის ნახატები. ღონისძიებაზე შემოსული თანხა საქველმოქმედო ფონდში გადაირიცხა.

ხატვის მასტერკლასი მადრიდის ქართულ საკვირაო სკოლაში

1 დეკემბერს, ესპანეთის სამეფოში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, მადრიდის წმინდა გიორგის სახელობის ქართულ ეკლესიასა და ქართულ საკვირაო სკოლას - „აისი“ ეწვია ქართველი მხატვარი, ქეთევან დავლიანიძე.

ქართველმა მხატვარმა საკვირაო სკოლის აღსაზრდელებს ხატვასა და ქართულ ხელოვნებაში მასტერკლასი ჩაუტარა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს ელჩი ესპანეთში, ილია გიორგაძე, მრჩეველი, საკონსულო ფუნქციებით, თეიმურაზ ბასილაია, წმინდა გიორგის სახელობის ქართული ეკლესიის წინამძღვარი, მამა პიროსი (გოცირიძე), საკვირაო სკოლის პედადგოგები და მშობლები.

დიპლომატიური საქველმოქმედო ბაზრობა ლიუბლიანაში

1 დეკემბერს, სლოვენიიის პრეზიდენტის პატრონაჟით და საქველმოქმედო ორგანიზაციის SILA თაოსნობით, ქ. ლიუბლიანაში გაიმართა ყოველწლიური დიპლომატიური საქველმოქმედო ბაზრობა, რომელშიც საქართველოს საელჩოც იღებდა მონაწილეობას.

ქართულ კუთხეში წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სახეობის ქართული ღვინო და ნუგბარი, ქართული ტრადიუციული და თანამედროვე ხელნაკეთი ნივთები, მინანქარი, ფერწერა ბატიკაზე, კერამიკა და სხვა.

საქართველოს კუთხე მოინახულა სლოვენიის პრეზიდენტის მეუღლემ და SILA-ს ხელმძღვანელობამ.

საქართველოს საელჩოსთან ერთად ქართული კუთხის ორგანიზებაში ჩართული იყვნენ ქართული დიასპორის წევრები და საქართველოს ლიუბლიანელი მეგობრები.

აკუსტიკური მუსიკის საღამო პრაღაში

2 დეკემბერს, ჩეხეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, ქართული დიასპორის წარმომადგენლებისთვის აკუსტიკური მუსიკის საღამო გაიმართა.

საღამოზე სპეციალურად საქართველოდან მოწვეულმა მომღერლებმა ნეკა სებისკვერაძემ და დავით ნოზაძემ შეასრულეს ქართველი კომპოზიტორების დუეტისათვის შექმნილი მუსიკალური ნომრები.

ქართული სტენდი სტრასბურგის საშობაო ბაზრობაზე

2-13 დეკემბერს, ევროპის საბჭოში საზეიმოდ გაიხსნა ტრადიციული საშობაო ბაზრობა, სადაც საპატიო სტუმრის სტატუსით მონაწილეობდა საქართველო, როგორც ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე ქვეყანა.
საშობაო ბაზრობის გახსნის ღონისძიებაზე სტრასბურგის ქართული დიასპორის წარმომადგენლებმა - სოფო ირმაშვილმა და მარიამ შუბითიძემ ქართული ცეკვები შეასრულეს.
ევროპის საბჭოსთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობისათვის დათმობილ სტენდზე წარმოდგენილი იყო საქართველოს საიმიჯო და საპრომოციო მრავალფეროვანი მასალა; მათ შორის, ბროშურები და ბუკლეტები ქვეყნის ტურისტული პოტენციალის, მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის, ღვინის უძველესი კულტურისა და ქართული ენის შესახებ. ევროპის საბჭოს საშობაო ბაზრობას ორი კვირის განმავლობაში „ევროპის სასახლე“ და „აგორა“ მასპინძლობდა.

სტრასბურგში ქართული ნაციონალური ბალეტის „სუხიშვილების“ კონცერტი გაიმართა

3 დეკემბერს, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის საქართველოს თავმჯდომარეობის კულტურული ღონისძიებების ფარგლებში, სტრასბურგის მთავარ საკონცერტო დარბაზში „Palais de la musique et des congrès” ქართული ნაციონალური ბალეტის „სუხიშვილების“ კონცერტი გაიმართა.
მაყურებლის წინაშე ანსამბლი განახლებული პროგრამით წარსდგა. ტრადიციულ პროგრამასთან ერთად, შესრულდა ახალი, თანამედროვე ელემენტებით გამდიდრებული ცეკვები.
კონცერტი ევროპის საბჭოსთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის ორგანიზებით გაიმართა.
ღონისძიებას ესწრებოდნენ ევროპის საბჭოს, ევროპის საბჭოსთან აკრედიტებული დიპლომატიური მისიების, ქართული დიასპორისა და ქ. სტრასბურგის მერიის წარმომადგენლები, ასევე ქ. სტრასბურგის მაცხოვრებლები.

ქართული დოკუმენტური ფილმის ჩვენება ვენაში

5 დეკემბერს, ავსტრიაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, ვენის მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების უნივერსიტეტში გაიმართა ქართული დოკუმენტური ფილმის - „Polyphonic Lullabies of Kakheti” ჩვენება.
ფილმი ვენაში მოღვაწე ქართველი ხელოვანის ნონა ლომიძისა და შვეიცარიელი მუსიკათმცოდნე ჰუგო ზემპის ერთობლივი ნამუშევარია და იგი საქართველოში პოლიფონიური იავნანას შესრულების მრავალსახეობის შესახებ მოგვითხრობს.
ქართული დოკუმენტური ფილმი ვენის ხალხური მუსიკის კვლევისა და ეთნომუსიკის ინსტიტუტის პროფესორების ულრიხ მორგენშტერნისა და არდიან აჰმედაიას მიერ შექმნილი ღონისძიებების სერიის - Cinematographia Musicae Popularis (CiMPo) ფარგლებში გაიმართა.
ღონისძიებას ესწრებოდნენ ვენის კულტურისა და სამეცნიერო წრეების, აგრეთვე, ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

დეკემბრის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

ირლანდიაში ახალი დიასპორული ორგანიზაცია დაარსდა

5 დეკემბერს, ირლანდიაში საქართველოს საელჩოში გაიმართა შეხვედრა ახლადდაარსებული ქართული დიასპორული ორგანიზაციის ხელმძღვანელთან - ლელა შურუპოვასთან და საბჭოს წევრებთან: გუცა წერეთელთან, თამარა სამქანაშვილთან, ნუნუ ავგროზაშვილთან და გიორგი ანთიასთან.
დიასპორული ორგანიზაცია, რომლის თავმჯდომარე და საბჭოს წევრები არჩეულ იქნენ კენჭისყრის საფუძველზე, ამა წლის 1 დეკემბერს დაფუძნდა.
საბჭოს წევრებმა საქართველოს ელჩს, გიორგი ზურაბაშვილს გააცნეს თავიანთი ხედვა ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებით, განიხილეს ორგანიზაციის სამომავლო გეგმები, პროექტები და ინიციატივები.
თავის მხრივ, ელჩმა მადლობა გადაუხადა საბჭოს თითოეულ წევრს ორგანიზაციის დაარსების ინიციატივისთვის და მჭიდრო თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა.

ქართველი მხატვრის ნამუშევრების გამოფენა და მასტერკლასი ბერლინში

6 დეკემბერს, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოში გაიმართა ცნობილი ქართველი მხატვრის, მზექალა ბერძენიშვილის ნამუშევრების გამოფენა.
გამოფენის ოფიციალურ გახსნამდე გაიმართა სოლო-კონცერტი, ცნობილი ქართველი კომპოზიტორისა და პიანისტის ნანა მიქაბერიძის ხელმძღვანელობით. მის მიერ შესრულებულ კომპოზიციებს ვოკალური აკომპანიმენტი გაუწიეს გიორგი მჭედლიშვილმა, ანი კუშიანმა და სალომე მახათელაშვილმა.
ამავე ღონისძიების ფარგლებში, მზექალა ბერძენიშვილმა, ბერლინში მცხოვრები ქართველი ბავშვებისთვის, მასტერ კლასი ჩაატარა ხატვაში.

პაფოსში ქართული საკვირაო სკოლა გაიხსნა

7 დეკემბერს, კვიპროსის რესპუბლიკაში, ქ. პაფოსში გაიხსნა ქართული საკვირაო სკოლა. საკვირაო სკოლის გახსნა მომავალ მოსწავლეებსა და პედაგოგებს კვიპროსის რესპუბლიკაში საქართველოს ელჩმა რევაზ ლომინაძემ მიულოცა და მათ წარმატებული სასწავლო წელი უსურვა.

ქართულ საკვირაო სკოლაში გაკვეთილები ამა წლის 15 დეკემბრიდან დაიწყება, სწავლა კი უფასო იქნება.
პაფოსში გახსნილი ქართული საკვირაო სკოლა კვიპროსის რესპუბლიკაში რიგით მე-3 ქართული საკვირაო სკოლაა. ნიქოზიაში უკვე მრავალი წელია ფუნქციონირებს დავით აღმაშენებლის სახელობის ქართული საკვირაო სკოლა (ხელმძღვანელი: მევლუდ ყაფლანიშვილი) ასოციაცია "ქართველთა სათვისტომო ძალა ერთობაშია" ფარგლებში, ქალაქ ლიმასოლში კი ქართული საკვირაო სკოლა მიმდინარე წლის მარტში დაარსდა.

საახალწლო მიღება ერევანში

7 დეკემბერს, სომხეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოში გაიმართა საახალწლო მიღება, რომელსაც ესწრებოდნენ ქ. ერევანში არსებული ქართული საქველმოქმედო სათვისტომო „ივერია“-ს წევრები და საკვირაო სკოლის მოსწავლეები.

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, გიორგი საგანელიძემ სტუმრებს დამდეგი ახალი წელი და შობის დღესასწაული მიულოცა. ღონისძიებაზე სათვისტომოსთან არსებული საკვირაო სკოლის მოსწავლეებმა შეასრულეს ქართული სიმღერები და წაიკითხეს ლექსები. საქართველოს ელჩის მეუღლემ, ეკატერინე ბაქრაძემ სკოლის აღსაზრდელებს საახალწლო საჩუქრები გადასცა.

ქართველი ტენორის, ირაკლი კახიძის ფურორი გერმანიაში

7 დეკემბერს გერმანიაში, მანჰაიმის ნაციონალური ოპერის თეატრში მსოფლიო ვარსკვლავების მონაწილეობით ჟორჟ ბიზეს ,,კარმენის“ პრემიერა შედგა. დონ ჟოსეს პარტია ქართველმა ტენორმა, მანჰაიმის ნაციონალური თეატრის დასის წევრმა - ირაკლი კახიძემ (Irakli Kakhidze Ténor Géorgien) ბრწყინვალედ შეასრულა, რაც მაყურებლებმა განსაკუთრებული აპლოდისმენტებით და ოვაციებით აღნიშნეს.

დარმშტატში ქართული ხელოვნების სახლი გაიხსნა

8 დეკემბერს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. დარმშტატში გაიმართა ქართული ხელოვნების სახლის - „Blue Face“ ოფიციალური გახსნის საზეიმო ღონისძიება.

ღონისძიებას ფრანკფურტში საქართველოს გენერალური კონსული ლევან დიასამიძე და ადგილობრივი ქართული დიასპორის წევრები დაესწრნენ.

ხელოვნების სახლი „Blue Face“ ქართული დიასპორის წარმომადგენლების, ხელოვნებათმცოდნე ლილიანა არველაძისა და მხატვარ ბაჩო ჭამელაშვილის მიერ დაარსდა. ორგანიზაციის მიზანია საქართველოსა და ქართული კულტურის პოპულარიზაცია, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება, საქველმოქმედო საქმიანობა და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება. ქართული ხელოვნების სახლში მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ შეისწავლონ ქართული ენა, ხელოვნების ისტორია, ხატვა და მუსიკა. ხელოვნების სახლი გამოყენებულ იქნება საგამოფენო სივრცედ და ლიტერატურული ღონისძიებების გამართვის ადგილად.

ღონისძიების ფარგლებში, დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა ასევე საქართველოს გენერალურმა კონსულმა ლევან დიასამიძემ. მან მადლობა გადაუხადა ხელოვნების სახლის დამფუძნებლებს უაღრესად მნიშვნელოვანი ქართული საქმის წამოწყებაში და სრული მხარდაჭერა აღუთქვა მათ ხელოვნების სახლის შემდგომ საქმიანობაში.

ღონისძიების დასასრულს, ხელოვნების სახლს სიმბოლურად საჩუქრად საქართველოს დროშა გადაეცა. ფრანკფურტის ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტის კავკასიოლოგიის კათედრის გამგემ პროფესორმა მანანა თანდაშვილმა კი ქართული ხელოვნების სახლს ,,ვეფხისტყაოსნის“ 2019 წლის გამოცემა უსახსოვრა.

საშობაო მიღება დიასპორის წარმომადგენლებისთვის დანიაში

8 დეკემბერს, დანიის სამეფოში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით ქართული დიასპორის წარმომადგენლებისთვის წინასაშობაო ყოველწლიური მიღება გაიმართა.
ღონისძიება მისასალმებელი სიტყვით გახსნა საქართველოს ელჩმა გიგი გიგიაძემ, რომელმაც მოკლედ შეაჯამა მთელი წლის განმავლობაში საელჩოს მიერ გაწეული საქმიანობა და დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა დამსწრე საზოგადოებას.
ღონისძიების ფარგლებში გაიმართა თოჯინების თეატრის წარმოდგენა და ვიქტორინა, რომლის გამარჯვებულიც დაჯილდოვდა სიმბოლური საჩუქრით. ღონისძიების პატარა მონაწილეები სათამაშოებით დაასაჩუქრა თოვლის ბაბუმ.

ქართული კულტურის ყოველწლიური ფესტივალი კვიპროსში

8-10 დეკემბერს, კვიპროსის რესპუბლიკაში ქართული კულტურის ყოველწლიური ფესტივალი ჩატარდა. ქართული კულტურის რიგით მე-4 ფესტივალი დიასპორული ორგანიზაცია „ქართული კულტურის ცენტრი მალტაზე“ და კვიპროსში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით გაიმართა.
ფესტივალის ფარგლებში, ქ. ლიმასოლში მოეწყო თანამედროვე ქართველ ხელოვანთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, ქ. პაფოსში კი - აკაპელა სექსტეტის, The Georgian Six კონცერტი.
აღნიშნული ღონისძიება ქართველი კომპოზიტორის გია ყანჩელის ხსოვნას მიეძღვნა. კონცერტზე შესრულდა მაესტროს ცნობილი ნაწარმოებები, ქართველი მომღერლების უბადლო საშემსრულებლო ტექნიკამ კი აუდიტორიის დიდი მოწონება დაიმსახურა.
ფესტივალის დასასრულს, კვიპროსის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა რევაზ ლომინაძემ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და ფესტივალის მონაწილეებსა და მხარდამჭერებს, საელჩოს სახელით, მადლობა გადაუხადა.

ქართული დიზაინით გაფორმებული სკვერის გახსნა ტალინში

10 დეკემბერს, ესტონეთის დედაქალაქის ცენტრში გაიხსნა ქართული დიზაინით გაფორმებული სკვერი “რაუას მწვანე სივრცე”. ღონისძიება ტალინის ცენტრალური უბნის „კესკლინის“ გამგეობისა და ესტონეთში საქართველოს საელჩოს მიერ იქნა ორგანიზებული. სკვერი საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, არჩილ ყარაულაშვილმა და ტალინის მერმა, მიხაილ კილვარტმა გახსნეს.
საქართველოსადმი მიძღვნილ სკვერში, გასულ წელს, ესტონეთის რესპუბლიკაში 1920-1921 წლებში მოქმედი

საქართველოს რესპუბლიკის პირველი ოფიციალური წარმომადგენლობისადმი მიძღვნილი მემორიალური დაფა გაიხსნა. “რაუას მწვანე სივრცე”, საქართველოს პირველი ოფიციალური წარმომადგენლობის მისამართის, ნარვა მანტეს 20 ნომრის სიახლოვეს სიმბოლურად შეირჩა, რადგან სასტუმრო „როომა“, სადაც წარმომადგენლობა იყო განთავსებული, 1944 წლის 9-10 მარტის დაბომბვის შედეგად განადგურდა. მემორიალური დაფის გახსნა და ქართული დიზაინის ბაღის დაარსება ესტონეთში საქართველოს საელჩოს ძალისხმევით, ტალინის მერიასთან მჭიდრო თანამშრომლობითა და მისივე მხარდაჭერით, ასევე თბილისის მერიის თანადგომით განხორციელდა. სკვერის ქართული დიზაინი არქიტექტორ ტიინა ტუულიკის მიერ იქნა მომზადებული. ბაღის ცენტრში განთავსებულია

მოედანი ბორჯღალის ილუსტრაციით და რელიეფით, რომელიც სიმბოლურად საქართველოს გვახსენებს. ბორჯღალის ირგვლივ თბილისის მერიის მიერ სპეციალურად აღნიშნული სკვერისთვის მოწოდებული სკამები განთავსდა, წარწერით „თბილისი“.
ღონისძიებას ესწრებოდნენ ესტონეთის სამთავრობო ინსტიტუტების, ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელობა და შესაბამისი სამსახურების წევრები, ესტონეთში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და მედიის, აგრეთვე ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

გია ყანჩელისადმი მიძღვნილი საშობაო კონცერტი ავსტრიაში

11 დეკემბერს, ვენის მინორიტეკირხეს ისტორიულ ტაძარში, ავსტრიაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, გაიმართა საშობაო კონცერტი, რომელიც მიეძღვნა ქართველი კომპოზიტორის გია ყანჩელის ხსოვნას. კონცერტში მონაწილეობდნენ ვენაში მოღვაწე ქართველი ხელოვანები: პიანისტი ქეთევან სეფაშვილი, კომპოზიტორი და პიანისტი გიორგი კაჩინსკი, ფლეიტისტი თემურ ხარშილაძე და სოპრანო მადინა კარბელი.

კონცერტს ესწრებოდა ავსტრიაში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, ავსტრიის სამთავრობო სტრუქტურებისა და კულტურულ-სამეცნიერო წრეებისა და ქართული დიასპორის ორასზე მეტი წარმომადგენელი. საშობაო ღონისძიება მისასალმებელი სიტყვით გახსნა ავსტრიაში საქართველოს ელჩმა დავით დონდუამ. საქართველოს ელჩმა ქართველი კომპოზიტორის გია ყანჩელის შემოქმედებაზე ისაუბრა და ხაზი გაუსვა ქართული მუსიკალური ტრადიციების მრავალფეროვნებას. დავით დონდუამ სტუმრებს ავსტრიაში მოღვაწე ქართველი ხელოვანები წარუდგინა და მათი წარმატებული სახელოვნებო კარიერის შესახებაც ისაუბრა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქართველოსა და ავსტრიას შორის კულტურის სფეროში არსებულ თანამშრომლობას, რომლის ფარგლებშიც 2019 წელს საელჩოსთან თანამშრომლობით არაერთი საინტერესო ღონისძიება განხორციელდა.

ქართული კულტურის საღამო შტუტგრატში

13 დეკემბერს, ქ. შტუტგარტში, დიასპორული ორგანიზაციის - ხელოვნებისა და მუსიკის საზოგადოების (Georgische Music Verein) ორგანიზებით, ქართული კულტურის საღამო -"ფოლკი ხვდება ბლუზს" გაიმართა. კულტურული საღამო, შტუტგარტის Theater Hause-ის საკონცერტო სივრცეში ჩატარდა.

საღამო გაიხსნა ქართველი კომპოზიტორის გია ყანჩელის ნაწარმოებებით, რომლებიც მუსიკოსებმა, ანა ნანუაშვილმა და ბესო ნამჩევაძემ შეასრულეს. პირველი განყოფილება ქართულ ფოლკლორს დაეთმო და მას პარიზში მოქმედი დიასპორული ორგანიზაციის - ქართული კულტურის კერა „ლაზი"-ს ქორეოგრაფიული ანსამბლიც შეუერთდა. მსმენელს ასევე საშუალება ჰქონდა, მოესმინა თბილისიდან ჩასული „გალობის უნივერსიტეტის გუნდისა" და მუსიკალური კონკურსის „The Voice of Germany-ის" 2017 წლის გამარჯვებულის, ნათია თოდუას დუეტისათვის.

მეორე განყოფილება დაეთმო ანსამბლ „GeoTRAIN"-ის და ნათია თოდუას, რომლებმაც ქართული და უცხოური ნაწარმოებები შესასრულეს.

დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართეს საქართველოს გენერალურმა კონსულმა ფრანკფურტში, ლევან დიასამიძემ და საქართველოს საელჩოს კულტურის ატაშემ, ქეთევან გვენეტაძემ.

ღონისძიების მხარდამჭერები იყვნენ: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ადგილობრივი კულტურის ცენტრი – Kulturamt Stuttgart და ფონდი „ქართული გალობა".

შეხვედრა ქართველ სტუდენტებთან ლონდონში

13 დეკემბერს, გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს ელჩი, თამარ ბერუჩაშვილი ქართველ სტუდენტებს შეხვდა. შეხვედრაზე ელჩმა ყურადღება გაამახვილა ბრიტანეთსა და საქართველოს შორის სტრატეგიულ პარტნიორობაზე, განსაკუთრებით ხაზი გაუსვა საგანმანათლებლო კავშირების გაღრმავების მნიშვნელობას და წარმატება უსურვა მათ სამომავლო საქმიანობაში.

ქართველმა სტუდენტებმა თავის მხრივ ისაუბრეს მათ მიზნებსა და სამომავლო გეგმებზე და მზაობა გამოთქვეს მჭიდროდ ითანამშრომლონ საელჩოსთან.

საქველმოქმედო ღონისძიება ლონდონში

14 დეკემბერს, გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, დიდ ბრიტანეთში პირველი ქართული საკვირაო სკოლის დირექტორის ლია ჯიქია-გოგრიჭიანისა და ქართული დიასპორის წარმომადგენლების ორგანიზებით ლონდონში საქველმოქმედო ღონისძიება გაიმართა.
საქველმოქმედო ინციატივის ფარგლებში, პირველი ქართული სკოლის შენობაში შეგროვდა შემოწირულობა და საქართველოში უსახლკარო ბავშვებისა და მოხუცებისთვის გასაგზავნი ამანათები (ტანსაცმელი და სხვადასხვა ნივთები), რომელიც მათ 2019 წლის 26-30 დეკემბრის ჩათვლით გადაეცათ.
ქ. თბილისში, საქველმოქმედო ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს სერვანტესის სახელობის ესპანურ-ინგლისურ-ქართული გიმნაზიისა და თბილისის უნივერსიტეტთან არსებული UG სკოლის მოსწავლეებმა. ფინანსური დახმარება გაეწია 28 ოჯახს, ხანდაზმულთა ჯგუფ „იმედი“-ს წევრებს, მრავალშვილიან და მარტოხელა დედას სენაკში და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის ოჯახს, რომელსაც ლია ჯიქია-გოგრიჭიანის შვილმა, ანა გოგრიჭიანმა ფულად საჩუქართან ერთად საკუთარი ელექტრო ეტლიც გადასცა.

კლასიკური მუსიკის კონცერტი ნიურნბერგში

14 დეკემბერს, ქ. ნიურნბერგში, გოსტენჰოფის კულტურის სახლში (Nachbarschaftshaus Gostenhof), ქართული კულტურის ცენტრის - INKO-ს ორგანიზებით კლასიკური მუსიკის მორიგი საფორტეპიანო კონცერტი გაიმართა.
მაყურებელის წინაშე კლასიკური და თანამედროვე მუსიკის რეპერტუარით ქართული კულტურის ცენტრის აღსაღზრდელები: ელიზაბეტ და ანასტასია ბუტიკაშვილები, მარია პოტნინა და ანა მაგასეევი წარსდგნენ. ღონისძიებაში ასევე მონაწილეობა მიიღეს კულტურის ცენტრთან არსებულმა, საბავშვო თეატრალური ჯგუფის - „თოლიები" და ქართული ცეკვის სტუდიის - „იბერია“ მოსწავლეებმა და მაყურებელს საშობაო-საახალწლო პროგრამის რამდენიმე ნომერი შესთავაზეს.

კოპენჰაგენში ქართული საკვირაო სკოლა გაიხსნა

15 დეკემბერს, ქ. კოპენჰაგენში, დანიაში მცხოვრები ქართველი ბავშვებისთვის საქართველოს საელჩოსთან არსებულმა საკვირაო სკოლამ ფუნქციონირება დაიწყო. დანიის სამეფოში საკვირაო სკოლა ოთხი წლის განმავლობაში აღარ ფუნქციონირებდა, აღნიშნული სკოლის აღდგენის ინიციატორია ქართული დიასპორის წარმომადგენელი ანი ქისტაური.
ქართულ საკვირაო სკოლაში პირველი გაკვეთილი სწორედ ანი ქისტაურმა ჩაატარა, რომლის ფარგლებში ბავშვებმა დაიწყეს ქართული ანბანის შესწავლა.
სკოლის აღსაზრდელები, ასევე, გაეცნენ საქართველოს რუკას, კუთხეებს, სულხან-საბა ორბელიანის ცნობილ იგავ-არაკებს კრებულიდან „სიბრძნე-სიცრუისა“ და მოისმინეს ქართული საშობაო სიმღერები. საწყის ეტაპზე, საკვირაო სკოლაში გაკვეთილები ჩატარდება თვეში ერთხელ, კვირა დღეს, საქართველოს საელჩოს შენობაში საგანგებოდ გამოყოფილ სივრცეში.

ქართული ხელოვნების სტუდია „გონიერი“-ს საშობაო ზეიმი ლონდონში

15 დეკემბერს, ქ. ლონდონში, ქართულ ხელოვნების სტუდიაში „გონიერი“ საშობაო ზეიმი გაიმართა. ზეიმზე სტუდიის მოსწავლეებმა სტუმრებს წარუდგინეს საშობაო და საახალწლო ქართული ხალხური და საესტრადო სიმღერები და ასევე, მოაწყვეს მათივე შექმნილი მარიონეტების ჩვენება.

სტუდიაში „გონიერი“, რომლის დამფუძნებელი და დირექტორი გახლავთ თამარ ვეფხვაძე, მესამე წელია ქართველი ბავშვები ეუფლებიან ვიოლინოს, ფორტეპიანოს და მუსიკის თეორიულ საფუძვლებს ნინო ბაზერაშვილის ხელმძღვანელობით. სტუდიაში ასევე, ფუნქციონირებს ქართული მრავალხმიანობისა და ქართული თეატრის კლასები.

2019 წლიდან სტუდიაში გაიხსნა თოჯინების კლუბი, რომელიც საოჯახო ხასიათს ატარებს - ბავშვები და მშობლები ერთ სივრცეში ქმნიან თოჯინებს და შემდეგ დგამენ სპექტაკლებს. კლუბს ხელმძღვანელობს მხატვარი და მეთოჯინე ქეთინო ჯაფარიძე.

სტუდენტების მიერ ამ ზეიმზე წარმოდგენილი მარიონეტები სპეციალურად შეიქმნა პიესისათვის „იყო და არა იყო რა“, რომლის ავტორი ქეთინო ჯაფარიძეა თავის შვილებთან ერთად. მოგვიანებით მათ ამ პიესით ონში იმოგზაურეს და გამართეს წარმოდგენა.

დიასპორული კვირეული ნიუ-იორკში

18-22 დეკემბერს, ქ. ნიუ-იორკში, მიგრანტთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ქართული დიასპორული ორგანიზაციების: „დიასპორის სახლი“-სა (ხელმძღვანელი ინა ასანიძე) და საერთაშორისო ასოციაცია „ერთობა“-ს (ხელმძღვანელი თეა კანდელაკი) ორგანიზებით დიასპორული კვირეული გაიმართა.

18 დეკემბერს, სასტუმრო „ჰილტონში“ ჩატარდა კონფერენცია თემებზე: „ქალი და მიგრაცია“ და „დიასპორული ინვესტიციები საქართველოში“. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ბექა ოდიშარიამ, ამავე კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გივი ჭიჭინაძემ და საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა თემურ ჭკუასელმა, საქართველოდან დემოგრაფიული აღორძინების ფონდის თავმჯდომარემ თამარ ჩიბურდანიძემ, საქართველოს გენერალური საკონსულოს ვიცე-კონსულმა ეკატერინე ნინუამ. ასევე, კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს აშშ-ში, კანადაში, გერმანიაში, ესპანეთსა და იტალიაში მოქმედმა ქართული დიასპორული ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა და ნიუ-იორკის მერიის, სამეცნიერო-აკადემიური და ბიზნეს წრეების წარმომადგენლებმა. კონფერენციას უძღვებოდა ასოციაცია ,,თვისტომის“ პრეზიდენტი ნიკოლოზ ჩხეიძე (აშშ).

კონფერენციაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ: „დიასპორის სახლის“ ხელმძღვანელი ინა ასანიძე, საქართველოს გენერალური საკონსულოს ვიცე-კონსული ეკატერინე ნინუა; პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ბექა ოდიშარია, რომელმაც ქართველ ემიგრანტებს დიასპორულ ორგანიზაციებთან მიმართებით ხელისუფლების ახალი ხედვა გააცნო.

კონფერენციაზე დიასპორის წარმომადგენლებმა ისაუბრეს ადგილსამყოფელ ქვეყნებში თანამემამულეების წინაშე არსებულ პრობლემებზე და ქვეყნის განვითარებაში დიასპორული რესურსის გამოყენების საკუთარი ხედვები წარადგინეს.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა, ასოციაცია თვისტომის პრეზიდენტმა ნიკოლოზ ჩხეიძემ, რომელმაც მადლობა გადაუხადა საქართველოს პარლამენტის წევრებს და დიასპორული ორგანიზაციის ხელმძღვანელებს მონაწილეობისთვის. მან აღნიშნა, რომ დღეს, ისე როგორც არასდროს აუცილებელია ქართული დიასპორის ერთიანობა და მისი კავშირის გაძლიერება ისტორიულ სამშობლოსთან, დიასპორების აქტიური ჩართვა საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში და ზოგადად ემიგრაციის უმნიშვნელოვანეს როლზე, რესურსებზე და პოტენციალზე საქართველოს განვითარების საქმეში.

კონფერენციის დასასრულს ქალაქ ნიუ-იორკის მერის თანაშემწემ, მარია იუდკევიჩ მარკხმა, კონფერენციის ორგანიზატორებს - „დიასპორის სახლის“ ხელმძღვანელს, ინა ასანიძესა და ასოციაცია „ერთობა“-ს ხელმძღვანელს თეა კანდელაკს გადასცა მადლობის წერილი ნიუ-იორკის მერის სახელით, დიასპორასთან აქტიური თანამშრომლობისთვის .

კვირეულის ფარგლებში, კონფერენციის მონაწილეები ესტუმრნენ ნიუ-იორკში მოქმედ ქართულ დიასპორულ ორგანიზაციებს: ქართული კულტურის ცენტრი „საუნჯე“ , „ასოციაცია თვისტომი“, ქართული კულტურის ცენტრი ,,ფესვები“, ,,ქართველ ემიგრანტთა მსოფლიო ლიგა“. ასევე გაიმართა: საერთაშორისო ასოციაცია ,,ერთობა“- ს ბაზაზე არსებული, თეა კანდელაკის ქართულ-ებრაული კულტურის ცენტრის კონცერტი; თემურ ჭკუასელის, თეა კანდელაკისა და მაკა კვერენჩხილაძე-კარტეიზერის წიგნების პრეზენტაცია.

საახალწლო ზეიმი რენეში

19 დეკემბერს, ქ. რენეში, ასოციაცია „Les Gens Du Monde en France à Rennes“-თან (მსოფლიოს ხალხები) არსებულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა - „გვირილა“ და ასოციაციის ფოლკლორულმა გუნდმა „წინწყარო“ კონცერტი გამართა რენის კლემანსოს საჯარო სკოლაში.

„გვირილა“-ს მოცეკვავეებმა ფრანგული სკოლის მოსწავლეებს წარუდგინეს ქართული ეროვნული ცეკვები, ხოლო ფოლკლორული გუნდის წევრებმა ქართული ხალხური სიმღერები შეასრულეს. საახალწლო კონცერტმა კლემანსოს საჯარო სკოლის მოსწავლეებში დიდი მოწონება დაიმსახურა. სხვადასხვა ეროვნების ბავშვების მშობლებმა, კონცერტის შემდეგ, გამოთქვეს სურვილი, მათმა შვილებმაც შეისწავლონ ქართული ცეკვები.

ფოლკოლურმა გუნდმა „წინწაყარო“, 20 დეკემბერს, ასევე მიიღო მონაწილეობა რენის მერიისა და მუნიციპალიტეტის ორგანიზებულ სარა ბერნარის დღესასწაულში, სადაც შეასრულეს ქართული ხალხური სიმღერები.

ასოციაცია „Les Gens Du Monde en France à Rennes“-თან (მსოფლიოს ხალხები) ყოველთვიურად მერიის და მუნიციპალიტეტის ორგანიზებულ კულტურულ ღონისძიებებში იღებს მონაწილეობას.

ქართული ფილმის ჩვენება სტამბოლში

21 დეკემბერს, ქ. სტამბოლში მოქმედ შოთა რუსთაველის კულტურის ცენტრში“, შედგა ქართული ფილმის „მევლუდის“ ჩვენება, რომელიც ფილმის დიდ ეკრანებზე გამოსვლიდან 35-ე წლისთავს მიეძღვნა. ფილმის მსვლელობისას, მოეწყო ტელეხიდი ფილმის მთავარი გმირის შემსრულებელთან, მსახიობ ზურაბ ცინცქილაძესთან.

ღონისძიებას ესწრებოდნენ დიასპორული ორგანიზაციების წარმომადგენლები და სტამბოლში მცხოვრები თანამემამულეები.

საშობაო ზეიმი ტალინში

21 დეკემბერს, ქ. ტალინში დიასპორული ორგანიზაციის - „ქართული სახლი" (ხელმძღვანელი: ლევან გორელაშვილი) და მასთან არსებული საკვირაო სკოლის - „მზიური" (ხელმძღვანელი: ქეთევან ფალელაშვილი) ორგანიზებით, ესტონეთში მცხოვრები ქართველი ბავშვებისათვის გაიმართა საშობაო ზეიმი. ზეიმზე ბავშვებმა წარმოადგინეს სხვადასხვა ნომრები, ლექსები და ცეკვები. ღონისძიებაზე მისულ პატარებს გადაეცათ საახალწლო საჩუქრები.

„საახალწლო ზღაპარი" ოდესაში

22 დეკემბერს, ქ. ოდესაში, ქართულმა კულტურულ–საგანმანათლებლო ცენტრმა - „ივერია" ღონისძიება „საახალწლო ზღაპარი" გამართა, რომელიც ორგანიზაციის დაფუძნების 9 წლის იუბილეს მიეძღვნა. აღნიშნული გახლდათ პირველი შემთხვევა, როდესაც „ივერიამ" იუბილე საკუთარ შენობაში აღნიშნა, სადაც ცენტრი ამა წლის სექტემბრიდან ფუნქციონირებს.

დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართეს "ივერია"-ს ხელმძღვანელმა შორენა გეგეშიძემ და ოდესაში საქართველოს კონსულმა თორნიკე ბერეკაშვილმა. ზეიმის ფარგლებში ორგანიზაციასთან არსებული საკვირაო სკოლა "ანა-ბანა"-ს ყველაზე უმცროსმა აღსაზრდელებმა სტუმრებისთვის სადღესასწაულო წარმოდგენები მოამზადეს. მაყურებლის წინაშე მუსიკალური ნომრით წარსდგა ახალგაზრდა ვარსკვლავი - მომღერალი ნათია ბუგრიძე.

ცენტრის დაარსების 9 წლის იუბილეს აღსანიშნავ ღონისძიებაზე, საქართველოს საკონსულოს სახელით, კონსულმა თორნიკე ბერეკაშვილმა საკვირაო სკოლა "ანა-ბანა"-ს აღსაზრდელებს საჩუქრები გადასცა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ქ. ოდესაში საქართველოს საკონსულოს თანამშრომლები, ქ. ოდესაში საქართველოს კონსულის მეუღლე ნინო ბრეგვაძე, საკვირაო სკოლა "ანა-ბანა"-ს აღსაზრდელების მშობლები, ადგილობრივი ქართული დიასპორის წარმომადგენლები და მათი უკრაინელი მეგობრები.

ქართული საღამო ერევანში

22 დეკემბერს, ქ. ერევანში, სომხეთში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა ცენტრში, ქართულმა სათვისტომომ „ივერია" საახალწლო ღონისძიება გამართა. ზეიმს „ივერიას" წევრებთან ერთად, საპატიო სტუმრები - საქართველოს კონსული სოზარ კვინჩია და საქართველოდან ჩამოსული ცნობილი პოეტი, პროზაიკოსი, მთარგმნელი და მხატვარი თამარ გაბროშვილი ესწრებოდნენ.

ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს სათვისტომოს პრეზიდენტმა სვეტლანა ნამჩევაძემ, ვიცე-პრეზიდენტმა ეთერი ცომაიამ და სათვისტომოსთან არსებული ქართული საკვირაო სკოლის დირექტორმა ლიანა სამადალაშვილმა. ამასთან, სათვისტომოს ვიცე-პრეზიდენტმა და ქართული ენის პედაგოგმა ნინო სპანდერაშვილმა საზოგადოებას სათვისტომოს საქმიანობის 2019 წლის შემაჯამებელი მოხსენება წარუდგინა.

ზეიმის ფარგლებში, ქართული საკვირაო სკოლის მოსწავლეებმა - ნონა სარგსიანიმა, შუშანიკ გასპარიანმა, ქრიტინე ჰარუთიუნიანმა, კატარინა ხუდანიანმა და დავით მელქუმიანმა წაიკითხეს ქართული ლექსები, ღონისძიებაზე წარდგენილ იქნა ასევე ქართული ეროვნული სიმღერები, მათ შორის დამსწრე საზოგადოების განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა დავით მელქუმიანის მიერ შესრულებულმა სიმღერამ „თბილისო".

საშობაო ზეიმი დუბლინში

22 დეკემბერს, ირლანდიაში მოქმედი ქართული საგანმანათლებლო ცენტრის - „ლამპარი“ ხელმძღვანელის, ანელი აწკარუნაშვილისა და საკვირაო სკოლის პედაგოგების ორგანიზებით, საქველმოქმედო საშობაო ზეიმი გამართა.
საკვირაო სკოლის აღსაზრდელებმა, პედაგოგებმა და მშობლებმა მოაწყვეს სკოლის ბავშვებისა და მასწავლებლების ნამუშევრების საქველმოქმედო ბაზრობა და შეგროვილი თანხით ტრადიციულად, საახალწლოდ საქართველოში სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახებს დაეხმარნენ. ამჯერად, შემოსული თანხა საქართველოში ჭაკუებისა და წიკლაურების სოციალურად დაუცველ, მრავალშვილიან ოჯახებს გადაეცათ. საქველმოქმედო ღონისძიებას დახმარება გაუწია ირლანდიაში მცხოვრებმა ემიგრანტმა, მაია დოლაბერიძემ. ღონისძიება განხორციელდა ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის თანადგომითა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტთან თანამშრომლობით.

ვენაში ღონისძიება „მოგზაურობა საქართველოში“ გაიმართა

22 დეკემბერს, ქ. ვენაში, ავსტრიაში ქართული სათვისტომოსა და დავით აღმაშენებლის სახელობის ქართული საკვირაო სკოლის ორგანიზებით, გაიმართა ტრადიციული საშობაო ღონისძიება - „მოგზაურობა საქართველოში“.
დამსწრე საზოგადოების წინაშე მუსიკალური ნომრებით წარსდგნენ ვენის ქართული საკვირაო სკოლის აღსაზრდელები, ღონისძიებაზე ასევე გაიმართა საკვირაო სკოლის მოსწავლეების მიერ დამზადებული ხელნაკეთი ნივთების გამოფენა.
საღამოს ფარგლებში, საკვირაო სკოლის მასწავლებლები ავსტრიის ქართული სათვისტომოს წარმომადგენლებისგან დაჯილდოვდნენ მადლობის სიგელებით. აღნიშნულ ტრადიციულ საშობაო ღონისძიებას ესწრებოდნენ ადგილობრივი ქართული დიასპორისა და ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები.

ქართული საახალწლო კონცერტი მადრიდში

24 დეკემბერს, მადრიდისა და ალკობენდას ქართული საკვირაო სკოლების ინიციატივით და ესპანეთის სამეფოში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, გაიმართა საახალწლო კონცერტი პატარა ქართველების მონაწილეობით. ღონისძიების ფარგლებში მიწვეულმა თოვლის ბაბუამ მადრიდში მცხოვრებ ქართველ ბავშვებს საჩუქრები გადასცა.
მაყურებლის წინაშე ქართული სიმღერებითა და ლექსებით წარსდგნენ საკვირაო სკოლა „აისის“ (ხელმძღვანელები: ლაშა ჩადუნელი და თეა ქურხული, პედაგოგი: ეკატერინე გოგოლაძე) აღსაზრდელები. დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა ესპანეთში საქართველოს ელჩმა ილია გიორგაძემ და მათ დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა. ღონისძიებას ესწრებოდნენ მადრიდში მცხოვრები ქართული დიასპორისა და ესპანეთის სამეფოში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები, ასევე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პროექტის - „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ გამარჯვებული ესპანეთში ანა წოწონავა.

დეკემბრის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

ქართველი სტუდენტის წარმატება ჩინური ესეების კონკურსში

24 დეკემბერს, ჩინეთში, ჩატარდა პეკინის ენისა და კულტურის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ესეების კონკურსი, რომელშიც ჩინეთში ენის შემსწავლელი 1 წლიანი გაცვლითი სასწავლო კურსის ქართველმა სტუდენტმა, მარიამ ფაცურიამ გაიმარჯვა. აღნიშნული კონკურსი ყოველ წელს იმართება და მისი მიზანია წვლილი შეიტანოს ერთაშორისი ურთიერთობების გაღრმავებასა და განვითარებაში. სხვადასხვა ეროვნების 35 სტუდენტიდან, ჟიურის მიერ არჩეულ იქნა 11 საუკეთესო კონკურსანტის ნამუშევარი, რომლებიც სტუდენტებმა, დასკვნით ღონისძიებაზე წაუკითხეს აუდიტორიას. მარიამ ფაცურიამ, რომელიც პუბლიკის წინაშე ნაციონალური სამოსით წარსდგა, ისაუბრა ხალხებს შორის მჭიდრო კომუნიკაციის მნიშვნელობაზე. ასევე, მან ყურადღება გაამახვილა ენობრივი ბარიერის აღმოსაფხვრელად „ჩინური ენის ხიდის" მსგავსი პროგრამების განხორციელების აუცილებლობასა და სარგებლიანობაზე.

გერმანიის ქართული სათვისტომოს საახალწლო ნობათი სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის საქართველოში

2019 წლის დეკემბრის თვეში, გერმანიის ქართული სათვისტომოს საქველმოქმედო ფონდმა შეაგროვა და საქართველოში გააგზავნა თბილი ტანსაცმელი ორგანიზაცია „Life Chance"-ისთვის, რომელიც მიუსაფარ ბავშვთა სახლიდან წამოსული და სოციალურად დაუცველი ახალგაზრდების პროფესიულ განათლებასა და მათთვის თავშესაფარის მიცემაზე ზრუნავს. რამდენიმე ყუთი ტანსაცმლის უფასოდ საქართველოში ჩატანაში საქველმოქმედო ფონდს გერმანიაში მომუშავე გადამზიდავმა კომპანიებმა გაუწიეს დახმარება.

სათვისტომოს საქველმოქმედო ფონდმა, დეკემბერში კიდევ ერთი საქველმოქმედო აქცია განახორციელა. საქველმოქმედო ფონდიდან 1000 ევრო გადაირიცხა უკიდურესად გაჭირვებული, ბავშვიანი ოჯახებისა და მოხუცებისთვის საქართველოში. ფონდმა მთლიანად 21 ოჯახის დახმარება შეძლო. ოჯახებმა სათვისტომოს სახელით საახალწლო ნობათი მიიღეს, რომელშიც საახალწლო ტკბილეულთან ერთად შედიოდა ყოველდღიური მოხმარების პროდუქტიც. რამდენიმე ოჯახს, ასევე, გადაეცა ფულადი დახმარება 100 დან 200 ლარის ფარგლებში. ფონდი დაეხმარა 5 ოჯახს სამაჩაბლოს საოკუპაციო ხაზზე მდებარე სოფლებიდან: ნიქოზი, ზარდიაანთკარი და ფლავი, რამდენიმე მოხუცს ქალაქ გორში, სამი შვილის დედას, ქვრივ ქალბატონს გალის რაიონის სოფელ აჩიგვარადან, 5 შვილიან სოციალურად დაუცველ ოჯახს ქალაქ თბილისში და 2 უკიდურეს გაჭირვებში მცხოვრებ ოჯახს ლაგოდეხის რაიონში.

სულ, 2019 წელს სათვისტომოს ფონდიდან 14.500 ევრო გადაერიცხა 18 ავადმყოფ და სოციალურად დაუცველ თანამემამულეს. აგრეთვე, მიუსაფარ ბავშვთა სახლებს და სოციალურად დაუცველი ახალგაზრდების ცენტრს გაეგზავნათ სათამაშოები და თბილი ტანსაცმელი.

სათვისტომო მადლობას უხდის ყველა იმ ადამიანს, ვინც გერმანიის ქართული სათვიტომოს მიერ დაგეგმილ საქველმოქმედო ღონისძიებების ორგანიზებასა და განხორციელებაში მიიღო მონაწილეობა, რომლის მიზანიც ჩვენი თანამემამულეების დახმარებაა.

საახალწლო ღონისძიება სტოკჰოლმში

29 დეკემბერს, შვედეთის საბუნებისმეტყველო მუზეუმში, ილია ჭავჭავაძის სახელობის ქართულ სათვისტომოსთან არსებული ქართული სიმღერისა და ცეკვის სტუდიის „ნერგები" საახალწლო ღონისძიება გაიმართა.

საზეიმო კონცერტზე მოსულ სტუმრებს სტუდიის წევრებმა წარუდგინეს სიმღერები საქართველოზე, რომელიც ქართული მუსიკალური საკრავების თანხლებით შესრულდა, აგრეთვე, ქართული ლექსები და ქორეოგრაფიული ცეკვები.

ღონისძიება სტუდიის ხელმძღვანელის, ლელა კუხიანიძისა და პედაგოგების, ლომა ბერაიას, ზურა ცინაძის, ნათია სვანიძისა და თათია ფერაძის ორგანიზებით ჩატარდა.

ქართულ-აზერბაიჯანული კულტურის საღამო მადრიდში

29 დეკემბერს, მადრიდის ცნობილ კულტურულ სივრცეში - Espacio Ronda Madrid, ქართული დიასპორული ასოციაცია „სათვისტომო“-ს ორგანიზებით, ქართულ-აზერბაიჯანული კონცერტი გაიმართა. ღონისძიება სახელწოდებით „კავკასიის ორი კულტურა: საქართველო და აზერბაიჯანი“ აღნიშნული დიასპორული ასოციაციის თავმჯდომარის ლალი ჭილაიას ინციატივით მოეწყო.

საღამოს მიზანი ორი ქვეყნის კულტურის წარმოჩენა და ფართო საზოგადოებისთვის მათი გაცნობა გახლდათ. კონცერტის მონაწილეებს შორის იყვნენ ქართული ცეკვის ანსამბლი „ხეორხია“, მადრიდის ქართულ ეკლესიასთან არსებული ქალთა ფოლკლორული ანსამბლი, ასევე გამოჩენილი აზერბაიჯანელი ოპერის მომღერლები.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ესპანეთის სამეფოში საქართველოს ელჩი ილია გიორგაძე, საელჩოს მრჩეველი საკონსულო ფუნქციებით თეიმურაზ ბასილაია, ესპანეთში აზერბაიჯანის საელჩოს წარმომადგენლები, მადრიდის ქართული ეკლესიის წინამძღვარი არქიმანდრიტი პიროსი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პროექტის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ გამარჯვებული ესპანეთის სამეფოში, ანა წოწონავა და ადგილობრივი ქართული დიასპორის წევრები.

„საქართველოს ახალგაზრდა ელჩების“ კონკურსის გამარჯვებულები გამოვლინდნენ

დასრულდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროექტის -„იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ - შესარჩევი ფაზა.

შემოსული 96 განაცხადიდან კომისიამ, ხმათა უმრავლესობით 25 გამარჯვებული გამოავლინა: სალაძე სალომე (ავსტრიის რესპუბლიკა); ცერცვაძე თეონა (აშშ); კბილაშვილი გივი (ბელარუსი); ბუტიკაშვილი სოფიო (ბელგიის სამეფო); ფერცულიანი ზურაბი (ბულგარეთის რესპუბლიკა); ხუბუა დავით (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა); შონია მარიამ (დანიის სამეფო); კაკაბაძე კესარია (დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო); წოწონავა ანა (ესპანეთის სამეფო); კაჩუხაშვილი ვახტანგი (ესტონეთს რესპუბლიკა); ბერიძე მურად (თურქეთის რესპუბლიკა); ბადიაშვილი სოფიო (იაპონიის სახელმწიფო); ოდიკაძე ნანა (ირლანდია); ხუხაშვილი ლიკა (ისრაელი სახელმწიფო); ბოჭორიშვილი მარიამ (იტალიის რესპუბლიკა); მეშველაშვილი თინათინ (კანადა); ტყეშელაშვილი აკაკი (ლატვიის რესპუბლიკა); კუნჭულია გურამ (ლიეტუვას რესპუბლიკა); დოლიძე კონსტანტინა (საბერძნეთის რესპუბლიკა); საყვარელიძე კოკო (საფრანგეთის რესპუბლიკა); მეგრელიძე ალექსანდრე (უკრაინა); მარგიანი რუსუდან (უნგრეთი); გურგენიძე ლუკა (შვედეთის სამეფო); მარჯანიძე ვახტანგ (შვეიცარიის კონფედერაცია); მდივანი გვანცა (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა).

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან დაკომპლექტებული საკონკურსო კომისიის წევრები, გამარჯვებული კანდიდატების შერჩევის დროს, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ, როგორც კანდიდატების მოტივაციას და დიასპორული აქტივობების გამოცდილებას, ისე მათ ინფორმირებულობას თავად პროგრამის, საქართველოსა და ადგილსამყოფელი ქვეყნის შესახებ. კომისიის წევრებმა ასევე შეაფასეს კანდიდატების მიერ კონკურსის ფარგლებში წინასწარ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა. შესარჩევი ტურის ფარგლებში ასევე იქნა გამახვილებული ყურადღება მომავალი „ახალგაზრდა ელჩების“ საზოგადოებრივ აქტივობაში ჩართულობაზე.

აღსანიშნავია, რომ პროგრამა "იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2014 წლიდან მიმდინარეობს და მიზნად ისახავს საქართველოს პოპულარიზაციას საზღვარგარეთ და საქართველოს ახალგაზრდა უცხოელ მეგობართა წრის გაფართოვებას. ამ მიზნით ერთი წლის ვადით შერჩეული გამარჯვებული „ახალგაზრდა ელჩები“ განახორციელებენ მრავალფეროვან კულტურულ-შემოქმედებით, სპორტულ, საგანმანათლებლო და სხვა სახის აქტივობებს ადგილსამყოფელ ქვეყნებში.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროექტი -„იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ ხორციელდება მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) მხარდაჭერით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ENIGMMA 2-ის ფარგლებში.

ძვირფასო თანამემამულეებო!

გილოცავთ დამდეგ შობას და ახალ წელს! განსაკუთრებით, მსურს, ჩემი გულწრფელი მადლიერება და სითბო გადმოგცეთ თქვენ - საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებს, ქართული დიასპორის წარმომადგენლებს, რომელთა დიდი ნაწილი დღესასწაულს სამშობლოსგან და ოჯახებისგან შორს აღნიშნავს! ვიცი, რომ ამ დროს, განსაკუთრებით მძაფრია მონატრება და სურვილი დაუბრუნდე შენს მშობლიურ კერას!

მადლობას გიხდით იმ თავდაუზოგავი შრომისთვის, რომელიც მიმართულია არა მხოლოდ თქვენი ოჯახების, არამედ ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობისა და უკეთესი მომავლისთვის!

გისურვებთ დღეგრძელობას და წარმატებას, რადგან თქვენი წინსვლა და კეთილდღეობა უმნიშვნელოვანესია ჩვენი სამშობლოს განვითარების და მისი უკეთესი მომავლისთვის!

საქართველოს ხელისუფლებას, მის აღმასრულებელ და საკანონმდებლო შტოს, გაცნობიერებული აქვს ქართული დიასპორის სიძლიერის და სახელმწიფოს მხრიდან მისი თანადგომისა და დახმარების მნიშვნელობა.

2019 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების უფლებებისა და ინტერესების დაცვის, საზღვარგარეთ მოქმედი ქართული სათვისტომოების, საკვირაო სკოლებისა და ფოლკლორული ანსამბლების მხარდაჭერისა და ასევე, უცხოეთში მცხოვრებ ქართველ ახალგაზრდებთან ურთიერთობის განვითარების მიმართულებით.

საზღვარგარეთ ჩემი ყველა ვიზიტის დროს ვცდილობ განსაკუთრებული დრო დავუთმო თქვენთან შეხვედრებს. შესაძლოა ბევრი რამ ჩვენს ურთიერთობაში არ იყოს სრულყოფილი, მაგრამ მერწმუნეთ, მაქსიმალურად ვცდილობთ თქვენი ინტერესების გათვალისწინებას. 2019 წელს ელჩების კონფერენციაზე ყველა ელჩს ვთხოვე განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს თქვენთან ურთიერთობას, რათა არ არსებობდეს არანაირი ბარიერი საელჩოებსა დიასპორას შორის - საქართველოს საელჩოები საზღვარგარეთ თითოეული თქვენგანის სახლია.

2019 წელს წარმატებით მოვახდინეთ „დიასპორული ინიციატივების მხარდაჭერის“ საგრანტო პროგრამის იმპლემენტაცია, რომლის მიზანია დიასპორის წარმომადგენელთა იდეების რეალიზაციის ხელშეწყობა. გამოვლინდნენ პირველი გამარჯვებულები. სპეციალურმა კომისიამ, რომელიც შედგებოდა საგარეო საქმეთა სამინისტროს, პრეზიდენტის ადმინისტრაციის, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და პარლამენტის წარმომადგენლებისგან, არჩევანი სწორედ ისეთ იდეებსა და

პროექტებზე შეჩერა, რომლებიც ემსახურებიან საზღვარგარეთ მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებში ეროვნული იდენტობისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებას. მოხარული ვარ, რომ საგრანტო კონკურსის მიმართ დიასპორის წარმომადგენელთა მხრიდან მაღალი ინტერესი იყო. დარეგისტრირდა 144 განაცხადი, კონკურსის ორი ეტაპი კი წარმატებით გაიარა 29 კანდიდატმა.

ტრადიციულად, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ახალგაზრდებს. წარმატებით განხორციელდა პროგრამა - „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“; გაიზარდა პროგრამაში ჩართული ახალგაზრდების რიცხვი. პროექტში მონაწილე ახალგაზრდებმა მაქსიმალურად შეუწყვეს ხელი საზღვარგარეთ საქართველოს პოპულარიზაციას, შეიქმნა მათი თანატოლებისგან შემდგარი საქართველოს მეგობართა ქსელი, განხორციელდა არა ერთი კულტურულ-შემეცნებითი და საგანმანათლებლო ღონისძიება. სამინისტრომ „ახალგაზრდა ელჩების“ პროგრამა კიდევ უფრო გააფართოვა და წელს, ახალგაზრდა ელჩების რიცხვი 25-მდე გაზარდა.

დიასპორის წარმომადგენლებთან ეფექტიანი კავშირის დამყარების მიზნით, საცდელ რეჟიმში ამოქმედდა დიასპორული პორტალი, gda.ge, *რომლის სლოგანია „ჩვენ ერთი სამშობლო გვაქვს“. პორტალის მიზანია ერთის მხრივ, ხელი შეუწყოს დიასპორასთან კავშირების განმტკიცებას, მეორეს მხრივ, ხელმისაწვდომი გახადოს მათთვის სახელმწიფო სერვისები და სხვადასხვა შესაძლებლობები.*

უაღრესად მოხარული ვარ, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ინიცირებული „საკვირაო სკოლების მხარდაჭერის პროგრამა“ წელსაც წარმატებით გაგრძელდა და აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მომზადებული საკვირაო სკოლების ინტეგრირებული სახელმძღვანელოები წლის განმავლობაში 27 ქვეყანაში მოქმედ 81 საკვირაო სკოლას და 11 ქართული ენის შემსწავლელ კურსს გადაეცა.

ასევე, 2019 წელს, „საზღვარგარეთ არსებული ანსამბლების მხარდაჭერის პროგრამის “ ფარგლებში, საზღვარგარეთ მოქმედ 6 ქართულ ანსამბლს მიეწოდა ეროვნული სამოსი და ხალხური საკრავები. ამ მხრივ, საგარეო საქმეთა სამინისტრო მომავალშიც აქტიურად გააგრძელებს საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეების მხარდაჭერას.

დასასრულს, კიდევ ერთხელ, მსურს მადლობა გადაგიხადოთ თითოეულ თქვენგანს, ვინც ურყევად დგახართ ჩვენი ქვეყნის ინტერესების სადარაჯოზე და თქვენი საქმიანობით მნიშვნელოვანი წვლილი შეგაქვთ საზღვარგარეთ საქართველოს წარმოჩენაში, ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობების გაღრმავებასა და კულტურული და ხალხთაშორისი კონტაქტების განმტკიცებაში.

ჩემის მხრივ, 2020 წელს, კვლავაც არ დავიშურებ ძალისხმევას საქართველოს წარმატებისა და ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების დასაძლევად.

მაქვს თქვენი თანადგომისა და აქტიური ჩართულობის იმედი.

მრავალ ახალ წელს!

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი
დავით ზალკალიანი

გალა კონცერტი - ,,ჩვენ-ერთად ვართ“ სანქტ-პეტერბურგში

5 ნოემბერს, ქალაქ სანქტ პეტერბურგის დიდ საკონცერტო დარბაზში „Октябрьский“, გაიმართა გალა კონცერტი - ,,ჩვენ-ერთად“, რომელშიც მონაწილეობდა ჯანო ლიპარტელიანის სახელობის ქართული ეროვნული ცეკვის სამოყვარულო ჯგუფი - ,,სიხარული’’, სოფიკო ლიპარტელიანის ხელმძღვანელობით .

გალა კონცერტზე ტრადიციულად, სანქტ-პეტერბურგში არსებულმა სხვადასხვა ერების კულტურულ-შემოქმედებითმა ჯგუფებმა, რომელიც შედგებოდა 20 განსხვავებული ხელოვნების ჯგუფისაგან, პეტერბურგელებს წარუდგინეს ეროვნული ცეკვები და სიმღერები.

ტექნიკური ხარვეზის გამო, ნოემბრის „დიასპორულ ბიულეტენ“-ში ვერ გაშუქდა ინფორმაცია დიასპორული ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ ღონისძიებაზე. შესაბამის სტატიას, დაგვიანებით, დეკემბრის თვის „დიასპორულ ბიულეტენ“-ში ვაშუქებთ.

დეკემბრის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

დიასპორასთან ურთიერთობის

დეპარტამენტი

შ. ჩიტაძის ქ.4

თბილისი, 0118

ტელ:

(+995 32) 2945000

ფაქსი:

(+995 32) 2945001

ელ. ფოსტა

diaspora@mfa.gov.ge

/mfageorgia/

/MFA Geo

www.mfa.gov.ge

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო